95812

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს უწყებანი

№ 1 (82) თებერვალი 1958 წელი

585/12

## შინაარსი

### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული კანონები და დადგენილებანი

1. კანონი საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1958 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ.

2. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1958 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ.

3. საქართველოს სსრ 1956 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ.

4. კანონი საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) ტექსტში ცვლილებათა შეტანის შესახებ.

5. კანონი „წვრილმანი ხულიგნობისათვის პასუხისმგებლობის თაობაზე" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ.

6. კანონი „საპასპორტო რეჟიმის ბოროტი განზრახვით დარღვევისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გაძლიერების თაობაზე" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ.

7. კანონი „წვრილმანი სპეკულაციისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის თაობაზე" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ.

8. საქართველოს სსრ მინისტრების დანიშვნის თაობაზე მიღებულ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ.

9. საქართველოს სსრ ზოგიერთი მინისტრის განთავისუფლების თაობაზე მიღებულ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ.

10. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საბჭოთა კონტროლის კომისიის თავმჯდომარედ ამხ. მ. ა. მეგრელიშვილის დანიშვნის თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ.

11. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო სამეცნიერო-ტექნიკური კომიტეტის თავმჯდომარედ ამხ. გ. შ. მიქელაძის დანიშვნის თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ.

12. ამხ. ამხ. ნ. ყ. გაჯიევისა და გ. გ. დევდარიანის არჩევის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრებად.

13. ამხ. ი. ი. ფედიუნინსკის განთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის მოვალეობისაგან.

### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი და დადგენილებანი

14. ბრძანებულება აფხაზეთის ასსრ სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის დაჯილდოების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

15. ბრძანებულება აფხაზეთის ასსრ ხელოვნების მუშაკთათვის საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ.

16. ბრძანებულება აფხაზეთის ასსრ ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკების დაჯილდოების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

17. ბრძანებულება საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 134 მუხლში ცვლილებათა შეტანის შესახებ.

18. ბრძანებულება ვ. დ. გუდიაშვილისათვის საქართველოს სსრ სახალხო მხატვრის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

19. ბრძანებულება ამხ. ო. დ. გოცირიძის დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ.

20. ამხ. თ. მ. ქეცბას განთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის მოვალეობისაგან.

21. საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების მუშაობის შესახებ 1957 წელში.

22. ბრძანებულება საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომების ჯანმრთელობის დაცვის განყოფილებების გაუქმების შესახებ.

23. ბრძანებულება კ. ი. სიხარულიძის დაჯილდოების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

24. ბრძანებულება რესპუბლიკის სკოლების მასწავლებლებისათვის საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

25. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის წევრთა რიცხვის გადიდების შესახებ.

26. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადების მიმდინარეობის შესახებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული კანონები და დადგენილებანი

## 1. კ ა ნ ო ნ ი

### საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1958 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მოწონებულ იქნას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კომისიის მიერ წარმოდგენილი შესწორებებით საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1958 წლის სახელმწიფო გეგმა, წარმოდგენილი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ.

2. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განიხილოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1958 წლის სახელმწიფო გეგმის გამო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კომისიის დასკვნაში აღნიშნული და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიაზე დეპუტატების მიერ გამოთქმული შენიშვნები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე—**მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი—**ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1958 წ. 18 იანვარი.

## 2. კ ა ნ ო ნ ი

### საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1958 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ა დ გ ე ნ ს:

**მუხლი 1.** დამტკიცდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ წარმოდგენილი საქართველოს სსრ 1958 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კომისიის მოხსენების თანახმად მიღებული ცვლილებე-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბით: შემოსავლის ნაწილში 5.356.815 ათასი მანეთის და გასავლის ნაწილში 5.356.815 ათასი მანეთის ოდენობით, და ამას გარდა, საბიუჯეტო სახსრების გარდამავალი ნაშთი 1959 წლის 1 იანვრისათვის 130.000 ათასი მანეთის ოდენობით.

**მუხლი 2.** დაწესდეს საქართველოს სსრ 1958 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში შემოსავალი სახელმწიფო და კოოპერაციული საწარმოებისა და ორგანიზაციებისაგან სულ 4.618.329 ათასი მანეთის ოდენობით.

**მუხლი 3.** დაწესდეს საქართველოს სსრ 1958 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გასავალი სახალხო მეურნეობის დასაფინანსებლად — მძიმე მრეწველობის, სამშენებლო ინდუსტრიის, მსუბუქი და კვების მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის, საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების შემდგომი განვითარებისათვის საერთო თანხით — 2.282.174 ათასი მანეთის ოდენობით.

**მუხლი 4.** დაწესდეს საქართველოს სსრ 1958 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ასიგნებანი სოციალურ-კულტურულ ღონისძიებებისათვის საყოველთაო სწავლების სკოლების, ტექნიკუმების, უმაღლესი სასწავლებლების, სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებების, საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლების, ბიბლიოთეკების, კლუბების, თეატრების, პრესის, რადიომაუწყებლობის, განათლებისა და კულტურის სხვა ღონისძიებებისათვის; საავადმყოფოების, საბავშვო ბაგების, სანატორიუმების, ჯანმრთელობის დაცვისა და ფიზიკური კულტურის სხვა დაწესებულებებისათვის; პენსიებისა და დახმარებებისათვის — სულ 2.734.390 ათასი მანეთის ოდენობით.

**მუხლი 5.** დაწესდეს საქართველოს სსრ 1958 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ასიგნებანი სახელმწიფო მმართველობის ორგანოების შენახვაზე —186.203 ათასი მანეთის ოდენობით.

**მუხლი 6.** დამტკიცდეს საქართველოს სსრ 1958 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტი შემდეგი თანხებით: შემოსავალი — 4.803.856 ათასი მანეთი, გასავალი 3.396.536 ათასი მანეთი, ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებისა და რაიონების ბიუჯეტებში ანარიცხები სახელმწიფო გადასახადიდან და შემოსავლიდან და დოტაცია რესპუბლიკური ბიუჯეტიდან 1.407.320 ათასი მანეთი და, გარდა ამისა, საბიუჯეტო სახსრების გარდამავალი ნაშთი 1959 წლის 1 იანვრისათვის 70.710 ათასი მანეთი.

**მუხლი 7.** დაწესდეს საქართველოს სსრ ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებისა და რაიონების 1958 წლის ბიუჯეტები შემდეგი თანხებით:

(ა თას მანეთობით)

| | შემოსავალი | მათ შორის: ანარიცხები სახელმწიფო გადასახადებიდან და შემოსავლებიდან | მათ შორის: დოტაცია რესპუბლიკური ბიუჯეტიდან | გასავალი | საბიუჯეტო სახსრების გარდამავალი ნაშთი 1959 წ. 1 იანვრისათვის |
|---|---|---|---|---|---|
| 1. აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა | 196.693 | 138.412 | — | 196.693 | 5.877 |
| 2. აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა | 158.977 | 115.590 | — | 158.977 | 4.751 |
| 3. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი | 80.105 | 37.161 | 36.067 | 80.105 | 2.388 |
| 4. ქალაქი თბილისი | 501.043 | 239.400 | — | 501.043 | 9.961 |
| 5. ქალაქი ქუთაისი | 75.130 | 34.649 | — | 75.130 | 1.489 |
| 6. ქალაქი ფოთი | 24.736 | 15.521 | — | 24.736 | 736 |
| 7. ქალაქი ჭიათურა | 16.042 | 13.025 | — | 16.042 | 321 |
| 8. ქალაქი რუსთავი | 26.672 | 16.648 | — | 26 672 | 533 |
| 9. ქალაქი გორი | 20.277 | 9.191 | — | 20.277 | 404 |
| 10. აბაშის რაიონი | 11.870 | 10.145 | — | 11.870 | 543 |
| 11. ადიგენის რაიონი | 10.418 | 4.646 | 5.053 | 10.418 | 403 |
| 12. ამბროლაურის რაიონი | 14 052 | 6.631 | 6.440 | 14.052 | 597 |
| 13. ასპინძის რაიონი | 8.798 | 911 | 7.490 | 8.798 | 323 |
| 14. ახალქალაქის რაიონი | 22.785 | 16.058 | 4.624 | 22.785 | 859 |
| 15. ახალციხის რაიონი | 20.075 | 16.117 | - | 20.075 | 587 |
| 16. ახმეტის რაიონი | 13.356 | 7.377 | 4.980 | 13.356 | 523 |
| 17. ბოგდანოვკის რაიონი | 10.868 | 4.773 | 5.454 | 10.868 | 477 |
| 18. ბოლნისის რაიონი | 15.629 | 10.849 | 3.346 | 15.629 | 535 |
| 19. ბორჯომის რაიონი | 17.359 | 13.243 | — | 17.359 | 483 |
| 20. გარდაბნის რაიონი | 8.850 | 8.036 | — | 8.850 | 303 |
| 21. გეგეჭკორის რაიონი | 23.114 | 11.639 | 10.070 | 23.114 | 953 |
| 22. გორის რაიონი | 18.944 | 17.618 | — | 18.944 | 965 |
| 23. გურჯაანის რაიონი | 18.226 | 14.761 | — | 18.226 | 671 |
| 24. დმანისის რაიონი | 13.084 | 5.632 | 6.646 | 13.084 | 638 |
| 25. დუშეთის რაიონი | 17.126 | 4.378 | 11.217 | 17.126 | 686 |
| 26. ვანის რაიონი | 13.855 | 6.130 | 6.706 | 13.855 | 632 |
| 27. ზესტაფონის რაიონი | 22.280 | 19.083 | — | 22.280 | 783 |
| 28. ზუგდიდის რაიონი | 35 806 | 30.696 | — | 35.806 | 1.190 |
| 29. თეთრიწყაროს რაიონი | 15.240 | 6.383 | 7.284 | 15.240 | 688 |
| 30. თელავის რაიონი | 25.389 | 20.184 | — | 25.389 | 732 |
| 31. თერჯოლის რაიონი | 10.326 | 4.244 | 5.278 | 10.326 | 454 |
| 32. თიანეთის რაიონი | 10.485 | 3.027 | 7.012 | 10.485 | 353 |
| 33. კასპის რაიონი | 15.355 | 12.796 | — | 15.355 | 633 |
| 34. კაჭრეთის რაიონი | 10.760 | 7.467 | 2.689 | 10.760 | 407 |
| 35. ლაგოდეხის რაიონი | 17.123 | 15.059 | — | 17.123 | 685 |
| 36. ლანჩხუთის რაიონი | 15.560 | 13.410 | — | 15.560 | 600 |
| 37. ლენტეხის რაიონი | 9.813 | 1.232 | 8.286 | 9.813 | 286 |
| 38. მაიაკოვსკის რაიონი | 11.445 | 5.471 | 5.076 | 11.445 | 493 |
| 39. მარნეულის რაიონი | 19.575 | 16.873 | — | 19.575 | 764 |
| 40. მახარაძის რაიონი | 28.648 | 22.593 | — | 28.648 | 1.009 |
| 41. მესტიის რაიონი | 10.354 | 2.448 | 7.657 | 10.354 | 380 |
| 42. მცხეთის რაიონი | 12.499 | 10.200 | — | 12.499 | 487 |
| 43. ონის რაიონი | 13.640 | 3.088 | 9.644 | 13.640 | 465 |
| 44. ორჯონიკიძის რაიონი | 14.450 | 3.624 | 9.643 | 14.450 | 592 |
| 45. საგარეჯოს რაიონი | 12.626 | 11.061 | — | 12.626 | 535 |
| 46. სამტრედიის რაიონი | 22.212 | 15.316 | — | 22.212 | 740 |
| 47. საჩხერის რაიონი | 12.051 | 3.053 | 7.795 | 12.051 | 508 |
| 48. სიღნაღის რაიონი | 17.291 | 14.511 | — | 17.291 | 637 |
| 49. ტყიბულის რაიონი | 18.406 | 15.223 | — | 18.406 | 561 |
| 50. ქარელის რაიონი | 16.111 | 14.519 | — | 16.111 | 657 |
| 51. ქუთაისის რაიონი | 12.293 | 10.279 | — | 12.293 | 587 |
| 52. ყაზბეგის რაიონი | 7.684 | 1.267 | 6.130 | 7.684 | 244 |
| 53. ყვარლის რაიონი | 13.146 | 11.730 | 300 | 13.146 | 512 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | შემოსავალი | მათ შორის | | გასავალი | საბიუჯეტო სახსრების ბრუნვადი ნაშთი 1959 წ. 1 იანვრისათვის |
|---|---|---|---|---|---|
| | | ანარიცხები საერთო-სახელმწიფო გადასახადებიდან და შემოსავლებიდან | დოტაცია რესპუბლიკური ბიუჯეტიდან | | |
| 54. ჩოხატაურის რაიონი . . . . . . . . | 11 348 | 8.378 | 4.701 | 14.348 | [illegible]97 |
| 55. ჩხოროწყუს რაიონი . . . . . . . | 11.802 | 7.149 | 3.896 | 11.802 | 514 |
| 56. ცაგერის რაიონი . . . . . . . . | 12.835 | 6.137 | 5.805 | 12.835 | 485 |
| 57. ცხაკაიას რაიონი . . . . . . . . | 22.339 | 18.528 | — | 22.339 | 718 |
| 58. წალენჯიხის რაიონი . . . . . . . | 12.635 | 9.850 | 1.398 | 12.635 | 523 |
| 59. წალკის რაიონი . . . . . . . . . | 16.641 | 6.703 | 8.758 | 16.641 | 747 |
| 60. წითელწყაროს რაიონი . . . . . . | 11.900 | 9.653 | — | 11.900 | 383 |
| 61. წულუკიძის რაიონი . . . . . . . | 16.513 | 6.210 | 8.303 | 16.513 | 539 |
| 62. წყალტუბოს რაიონი . . . . . . . | 11.411 | 6.983 | — | 11.411 | 418 |
| 63. ჭიათურის რაიონი . . . . . . . | 10 379 | 2.128 | 7.722 | 10.379 | 562 |
| 64. ხაშურის რაიონი . . . . . . . . | 19.923 | 16.543 | — | 19.923 | 682 |
| 65. ხობის რაიონი . . . . . . . . . | 10.901 | 5.101 | 4.809 | 10.901 | 502 |
| სულ . . . . | 1.960.279 | 1.177.041 | 230.279 | 1.960 279 | 59.290 |

დამტკიცდეს 1958 წლისათვის ანარიცხები საერთო-საკავშირო სახელმწიფო გადასახადებიდან და შემოსავლებიდან საქართველოს სსრ ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებისა და რაიონების ბიუჯეტებში შემდეგი ოდენობით:

ა) მანქანა-ტრაქტორთა და სპეციალიზირებული სადგურების შემოსავლიდან 100 პროცენტი;

ბ) სატყეო შემოსავლიდან 100 პროცენტი;

გ) ერთპიროვნულ მეურნეობათა ცხენებზე სახელმწიფო გადასახადიდან 100 პროცენტი;

დ) ფულისა და ნივთების ლატარიის შემოსავლიდან 50 პროცენტი;

ე) მოსახლეობის საშემოსავლო გადასახადიდან, კოლმეურნეობათა საშემოსავლო გადასახადიდან, სასოფლო-სამეურნეო გადასახადიდან, სსრ კავშირის უცოლო, უქმრო, მარტოხელა და მცირეოჯახიან მოქალაქეთა გადასახადიდან, მოსახლეობაში ხელისმოწერით გავრცელებული სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1957 წლის სახელმწიფო სესხისა და ბრუნვის გადასახადიდან შემოსული თანხებიდან:

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | ანარიცხების პროცენტები | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | მოსახლეობის სამე-მოსავლო გადასახა-დიდან | კოლმეურნეობათა საშემოსავლო გადა-სახადიდან | სასოფლო-სამეურნეო გადასახადიდან | უცოლო, უქმრო, მარტოხელა და მცი-რეოჯახიან მოქალა-ქეთა გადასახადიდან | მოსახლეობაში ხელის-მოწერით გავრცელე-ბული სახელმწიფო სესხის თანხიდან | ბრუნვის გადასახა-დიდან |
| 1. აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა . . . | 40 | 100 | 100 | 40 | 80 | 11.2 |
| 2. აჭარის ავტონომიური საბჭოთა სო-ციალისტური რესპუბლიკა . . . . | 40 | 100 | 100 | 40 | 80 | 16.9 |
| 3. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლ-ქი . . . . . . . . . . . | 100 | 100 | 100 | 40 | 80 | 100.0 |
| 4. ქალაქი თბილისი . . . . . . . . | 45 | 100 | 100 | 40 | 80 | 4.6 |
| 5. ქალაქი ქუთაისი . . . . . . . . | 20 | — | – | 40 | 80 | 7.7 |
| 6. ქალაქი ფოთი . . . . . . . . . | 40 | — | 100 | 40 | 80 | 21.5 |
| 7. ქალაქი ჭიათურა . . . . . . . . | 40 | — | — | 40 | 80 | 26.2 |
| 8 ქალაქი რუსთავი . . . . . . . . | 40 | — | — | 30 | 80 | 23.8 |
| 9. ქალაქი გორი . . . . . . . . . | 40 | — | — | 40 | 80 | 10.7 |
| 10. აბაშის რაიონი . . . . . . . . | 50 | 100 | 100 | 40 | 80 | 76.7 |
| 11. ადიგენის რაიონი . . . . . . | 100 | 100 | 100 | 40 | 80 | 100.0 |
| 12. ამბროლაურის რაიონი . . . . . . | 100 | 100 | 100 | 40 | 80 | 100.0 |
| 13. ასპინძის რაიონი . . . . . . . | 50 | 100 | 100 | 40 | 80 | 100.0 |
| 14. ახალქალაქის რაიონი . . . . . | 100 | 100 | 100 | 40 | 80 | 100.0 |
| 15. ახალციხის რაიონი . . . . . . . | 50 | 100 | 100 | 40 | 80 | 23.1 |
| 16. ახმეტის რაიონი . . . . . . . | 100 | 100 | 100 | 40 | 80 | 100.0 |
| 17. ბოგდანოვკის რაიონი . . . . . . | 100 | 100 | 100 | 40 | 80 | 100.0 |
| 18. ბოლნისის რაიონი . . . . . . . | 100 | 100 | 100 | 40 | 80 | 100.0 |
| 19. ბორჯომის რაიონი . . . . . . . | 50 | — | 100 | 40 | 80 | 28.5 |
| 20. გარდაბნის რაიონი . . . . . . | 50 | 100 | 100 | 40 | 80 | 62.1 |
| 21. გეგეჭკორის რაიონი . . . . . . | 100 | 100 | 100 | 40 | 80 | 100.0 |
| 22. გორის რაიონი . . . . . . . | 50 | 100 | 100 | 40 | 80 | 13.0 |
| 23. გურჯაანის რაიონი . . . . . . | 50 | 70 | 50 | 40 | 80 | 39.0 |
| 24. დმანისის რაიონი . . . . . . . | 100 | 100 | 100 | 40 | 80 | 100.0 |
| 25. დუშეთის რაიონი . . . . . . . | 100 | 100 | 100 | 40 | 80 | 100.0 |
| 26. ვანის რაიონი . . . . . . . . . | 100 | 100 | 100 | 40 | 80 | 100.0 |
| 27. ზესტაფონის რაიონი . . . . . . | 50 | 100 | 100 | 40 | 80 | 17.9 |
| 28. ზუგდიდის რაიონი . . . . . . . | 50 | 100 | 100 | 40 | 80 | 15.0 |
| 29. თეთრიწყაროს რაიონი . . . . . . | 100 | 100 | 100 | 40 | 80 | 100.0 |
| 30. თელავის რაიონი . . . . . . . | 50 | 100 | 100 | 40 | 80 | 18.4 |
| 31. თერჯოლის რაიონი . . . . . . . | 100 | 100 | 100 | 40 | 80 | 100.0 |
| 32. თიანეთის რაიონი . . . . . . . | 100 | — | 100 | 40 | 80 | 100.0 |
| 33. კასპის რაიონი . . . . . . . | 50 | 100 | 100 | 40 | 80 | 26.9 |
| 34. კაჭრეთის რაიონი . . . . . . . | 100 | 100 | 100 | 40 | 80 | 100.0 |
| 35. ლაგოდეხის რაიონი . . . . . . . | 50 | 100 | 100 | 40 | 80 | 22.2 |
| 36. ლახჩხუთის რაიონი . . . . . . . | 50 | 100 | 100 | 40 | 80 | 6.5 |
| 37. ლენტეხის რაიონი . . . . . . . | 100 | — | 100 | 40 | 80 | 100.0 |
| 38. მაიაკოვსკის რაიონი . . . . . . | 100 | 100 | 100 | 40 | 80 | 100.0 |
| 39. მარნეულის რაიონი . . . . . . . | 50 | 100 | 100 | 40 | 80 | 10.5 |
| 40. მახარაძის რაიონი . . . . . . . | 20 | 50 | 100 | 40 | 80 | 8.7 |
| 41. მესტიის რაიონი . . . . . . . . | 100 | — | 100 | 40 | 80 | 100.0 |
| 42. მცხეთის რაიონი . . . . . . . . | 50 | 100 | 100 | 40 | 80 | 62.2 |
| 43. ონის რაიონი . . . . . . . . . | 100 | - | 100 | 40 | 80 | 100.0 |
| 44. ორჯონიკიძის რაიონი . . . . . . | 100 | 100 | 100 | 40 | 80 | 100.0 |
| 45. საგარეჯოს რაიონი . . . . . . | 84 | 100 | 100 | 55 | 80 | 100.0 |
| 46. სამტრედიის რაიონი . . . . . . | 50 | 100 | 100 | 40 | 80 | 17.9 |
| 47. საჩხერის რაიონი . . . . . . . | 100 | 100 | 100 | 40 | 80 | 100.0 |
| 48. სიღნაღის რაიონი . . . . . . . | 50 | 100 | 100 | 40 | 80 | 21.2 |
| 49. ტყიბულის რაიონი . . . . . . . | 75 | 100 | 100 | 40 | 75 | 100.0 |
| 50. ქარელის რაიონი . . . . . . . | 50 | 100 | 100 | 40 | 80 | 72.9 |
| 51. ქუთაისის რაიონი . . . . . . . | 85 | 100 | 100 | 50 | 80 | 100.0 |
| 52. ყაზბეგის რაიონი . . . . . . . | 100 | — | 100 | 40 | 80 | 100.0 |
| 53. ყვარლის რაიონი . . . . . . . . | 100 | 100 | 100 | 70 | 80 | 100.0 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | ანარიცხების პროცენტები | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | მოსახლეობის საშემოსავლო გადასახადიდან | კოლმეურნეობათა საშემოსავლო გადასახადიდან | სასოფლო სამეურნეო გადასახადიდან | უცოლო, უქმრო, მარტოხელა და მცირეოჯახიან მოქალაქეთა გადასახადიდან | მოსახლეობაში ხელისმოწერით გავრცელებული სახელმწიფო სესხის თანხიდან | ბრუნვის გადასახადიდან |
| 54. ჩოხატაურის რაიონი . . . . | 100 | 100 | 100 | 40 | 80 | 100.0 |
| 55. ჩხოროწყუს რაიონი . . . . . . | 100 | 100 | 100 | 40 | 80 | 100.0 |
| 56. ცაგერის რაიონი . . . . . . . . | 100 | 100 | 100 | 40 | 80 | 100.0 |
| 57. ცხაკაიას რაიონი . . . . . . . . | 50 | 100 | 100 | 40 | 80 | 32 6 |
| 58. წალენჯიხის რაიონი . . . . . . | 100 | 100 | 100 | 40 | 80 | 100.0 |
| 59. წალკის რაიონი . . . . . . . | 100 | 100 | 100 | 40 | 80 | 100.0 |
| 60. წითელწყაროს რაიონი . . . . . . | 50 | 40 | 50 | 40 | 80 | 30.0 |
| 61. წულუკიძის რაიონი . . . . . | 100 | 100 | 100 | 40 | 80 | 100.0 |
| 62. წყალტუბოს რაიონი . . . . . . . | 50 | 100 | 100 | 40 | 80 | 17.7 |
| 63. ქიათურის რაიონი . . . . . . . . . | 100 | 100 | 100 | 40 | 80 | 100 0 |
| 64. ხაშურის რაიონი . . . . . . | 50 | 100 | 100 | 40 | 80 | 74.5 |
| 65. ხობის რაიონი . . . . . . . . . | 100 | 100 | 100 | 40 | 80 | 100.0 |

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე — **მ. ჩუბინიძე**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი — **ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1958 წ. 18 იანვარი.

**3. საქართველოს სსრ 1956 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ**

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ 1956 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში შემოსავლებში 3.281.545 ათასი მანეთის, ხარჯებში — 3.254.082 ათასი მანეთის ოდენობით; შემოსავლების ხარჯებზე 27.463 ათასი მანეთის გადამეტებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე — **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი — **ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1958 წ. 18 იანვარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 4. კ ა ნ ო ნ ი

### საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) ტექსტში ცვლილებათა შეტანის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი:

1. 1957 წლის 17 ივნისისა „საქართველოს სსრ მშენებლობის რესპუბლიკური სამინისტროს შექმნის შესახებ".
2. 1957 წლის 11 სექტემბრისა „საქართველოს სსრ კონსტიტუციის 14 მუხლის „მ" პუნქტის ცვლილების შესახებ".
3. 1957 წლის 11 სექტემბრისა „საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროს გაუქმების შესახებ".
4. 1957 წლის 11 სექტემბრისა „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საბჭოთა კონტროლის კომისიის შექმნის შესახებ".
5. 1957 წლის 18 სექტემბრისა „საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროსა და საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს ერთ სამინისტროდ — საქართველოს სსრ ადგილობრივი მეურნეობის რესპუბლიკურ სამინისტროდ გაერთიანების შესახებ".
6. 1957 წლის 21 ნოემბრისა „საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ".
7. 1957 წლის 21 ნოემბრისა „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო-ტექნიკური კომიტეტის შესახებ".
8. 1958 წლის 9 იანვრისა „საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 134 მუხლში ცვლილებათა შეტანის შესახებ".

ამ ბრძანებულებათა შესაბამისად შეტანილ იქნას სათანადო ცვლილება და დამატება საქართველოს სსრ კონსტიტუციის 14 მუხლის „მ" პუნქტში, 50, 55, 56, 81, 96 და 134 მუხლებში და ეს მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

მუხლი 14....

„მ) მართავს საკავშირო-რესპუბლიკური დაქვემდებარების მრეწველობასა და მშენებლობას; განაგებს რესპუბლიკური დაქვემდებარების ბანკებს, სამრეწველო, სამშენებლო, სასოფლო-სამეურნეო და სავაჭრო საწარმოებსა და ორგანიზაციებს, აგრეთვე ხელმძღვანელობს ადგილობრივ მრეწველობას".

„**მუხლი 50.** საქართველოს სსრ-ის უმაღლესი საბჭო ქმნის საქართველოს სსრ-ის მინისტრთა საბჭოს შემდეგი შემადგენლობით:

საქართველოს სსრ-ის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე;

საქართველოს სსრ-ის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილეები;

საქართველოს სსრ-ის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები;

საქართველოს სსრ მინისტრები;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარე;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე;

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საბჭოთა კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო სამეცნიერო-ტექნიკური კომიტეტის თავმჯდომარე;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შემადგენლობაში შედიან ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების თავმჯდომარეები თანამდებობის მიხედვით".

„**მუხლი 55.** საქართველოს სსრ-ის საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროები არიან სამინისტროები:

ვაჭრობისა;
თავდაცვისა;
კავშირგაბმულობისა;
კულტურისა;
საგარეო საქმეთა;
სოფლის მეურნეობისა;
ფინანსთა;
შინაგან საქმეთა;
ჯანმრთელობის დაცვისა".

„**მუხლი 56.** საქართველოს სსრ-ის რესპუბლიკური სამინისტროები არიან სამინისტროები:

ადგილობრივი მეურნეობისა;
განათლებისა;
იუსტიციისა;
მშენებლობისა;
საავტომობილო ტრანსპორტისა;
სოციალური უზრუნველყოფისა;
წყალთა მეურნეობისა".

„**მუხლი 81.** სახელმწიფო მმართველობის ცალკეული დარგების ხელმძღვანელობისათვის სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭო ქმნის აღმასრულებელი კომიტეტის შემდეგ განყოფილებებს:

ადგილობრივი მეურნეობისა;
განათლებისა;
ვაჭრობისა;
კულტურისა;
მშენებლობისა და არქიტექტურის საქმეთა;
საგზაოს;
საეროთოს;
საფინანსოს;
სოციალური უზრუნველყოფისა;
ჯანმრთელობის დაცვისა;
საგეგმო კომისიას;
კადრების სექტორს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარესთან;
და, გარდა ამისა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა

დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან არსებობენ სამმართველოები:

იუსტიციისა;

სოფლის მეურნეობისა;

შინაგან საქმეთა სამინისტროსი".

**„მუხლი 96.** მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონების, სადაბო და სასოფლო საბჭოები თავიანთი სესიის დროისათვის ირჩევენ თავმჯდომარესა და მდივანს სესიის სხდომათა გასაძღოლად".

**„მუხლი 134.** საქართველოს სსრ-ის მოქალაქეებს აქვთ განათლების უფლება.

ეს უფლება უზრუნველყოფილია საყოველთაო-სავალდებულო შვიდწლიანი განათლებით, საშუალო განათლების ფართოდ განვითარებით, ყველა სახეობის როგორც საშუალო, ისე აგრეთვე უმაღლესი უფასო განათლებით, უმაღლესი სკოლის წარჩინებულ მოსწავლეთათვის სახელმწიფო სტიპენდიების სისტემით, სკოლებში დედაენაზე სწავლებით, ქარხნებში, საბჭოთა მეურნეობებში, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებსა და კოლმეურნეობებში მშრომელთა უფასო საწარმოო, ტექნიკური და აგრონომიული სწავლების ორგანიზაციით".

ამოღებულ იქნას საქართველოს სსრ კონსტიტუციის 94 და 97 მუხლები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე — **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი — **ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1958 წ. 18 იანვარი.

## 5. კ ა ნ ო ნ ი

**„წვრილმანი ხულიგნობისათვის პასუხისმგებლობის თაობაზე" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ**

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1957 წლის 7 იანვრის ბრძანებულება „წვრილმანი ხულიგნობისათვის პასუხისმგებლობის შესახებ".

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე — **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი — **ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1958 წ. 18 იანვარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 6. კ ა ნ ო ნ ი

**„საპასპორტო რეჟიმის ბოროტი განზრახვით დარღვევისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გაძლიერების თაობაზე“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ**

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1957 წლის 13 აპრილის ბრძანებულება „საპასპორტო რეჟიმის ბოროტი განზრახვით დარღვევისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე — **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი — **ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1958 წ. 18 იანვარი.

## 7. კ ა ნ ო ნ ი

**„წვრილმანი სპეკულაციისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის თაობაზე“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ**

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1957 წლის 11 ივნისის ბრძანებულება „წვრილმანი სპეკულაციისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე — **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი — **ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1958 წ. 18 იანვარი.

**8. საქართველოს სსრ მინისტრების დანიშვნის თაობაზე მიღებულ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ**

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ა დ გ ე ნ ს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი:

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის მოადგილეების ამხ. გიორგი ანდრიას-ძე ჯაბუას და ამხ. ვლადიმერ გიორგის-ძე ქერქაძის დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ მინისტრებად;

ამხ. გიორგი არტემის-ძე ალავიძის დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრად;

ამხ. ილია ნიკიფორეს-ძე ლადიძის დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის მინისტრად;

ამხ. სიმონ სევერიანის-ძე ლორთქიფანიძის დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრად;

ამხ. კარლ ისაკის-ძე ბარიგიანის დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ ადგილობრივი მეურნეობის მინისტრად;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის მოადგილის ამხ. მიხეილ ფილიპეს-ძე ჩხეიძის დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ მინისტრად;

ამხ. დავით იოსების-ძე ჩხიკვიშვილის დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ კულტურის მინისტრად;

ამხ. მიხეილ ბაგრატის-ძე ლვინჯილიას დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე—**მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი—**ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1958 წ. 18 იანვარი.

**9. საქართველოს სსრ ზოგიერთი მინისტრის განთავისუფლების თაობაზე მიღებულ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ**

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი:

ამხ. ვლადიმერ გიორგის-ძე ქერქაძის განთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის თანამდებობისაგან;

ამხ. გიორგი სამსონის-ძე ქობულიას განთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის მინისტრის თანამდებობისაგან;

ამხ. ავთანდილ ლევანის-ძე გუნიას განთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის თანამდებობისაგან;

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ამხ. ზინაიდა არსენის ასული კვაჭაძის განთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრის თანამდებობისაგან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე— მ. ჩუბინიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი— ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი.
1958 წ. 18 იანვარი.

**10. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საბჭოთა კონტროლის კომისიის თავმჯდომარედ ამხ. მ. ა. მეგრელიშვილის დანიშვნის თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ**

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1957 წლის 11 სექტემბრის ბრძანებულება ამხ. მამია ამბროსის-ძე მეგრელიშვილის დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საბჭოთა კონტროლის კომისიის თავმჯდომარედ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე— მ. ჩუბინიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი— ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი.
1958 წ. 18 იანვარი.

**11. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო სამეცნიერო-ტექნიკური კომიტეტის თავმჯდომარედ ამხ. გ. შ. მიქელაძის დანიშვნის თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ**

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1957 წლის 6 აგვისტოს ბრძანებულება ამხ. გივი შალვას-ძე მიქელაძის დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო სამეცნიერო-ტექნიკური კომიტეტის თავმჯდომარედ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე— მ. ჩუბინიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი— ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი.
1958 წ. 18 იანვარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**12. ამხ. ამხ. ნ. ყ. გაჯიევისა და გ. გ. დევდარიანის არჩევის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრებად**

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

არჩეულ იქნან ამხ. ამხ. ნასიბ ყურბანის-ძე გაჯიევი და გრიგოლ გრიგოლის-ძე დევდარიანი საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრებად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე—მ. **ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი—**ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1958 წ. 18 იანვარი.

**13. ამხ. ი. ი. ფედიუნინსკის განთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის მოვალეობისაგან**

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

განთავისუფლდეს ამხ. ივანე ივანეს-ძე ფედიუნინსკი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის მოვალეობისაგან მისი სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე—მ. **ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი—**ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
958 წ. 18 იანვარი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი და დადგენილებანი

**14. ბრძანებულება აფხაზეთის ასსრ სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის დაჯილდოების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით**

აფხაზური და ქართული სასიმღერო და ქორეოგრაფიული ხელოვნების განვითარების საქმეში დამსახურებისათვის დაჯილდოვდეს აფხაზეთის ასსრ სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე—**მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი— **ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1958 წ. 9 იანვარი.

**15. ბრძანებულება აფხაზეთის ასსრ ხელოვნების მუშაკთათვის საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ**

აფხაზური და ქართული საბჭოთა ხელოვნების განვითარების საქმეში დამსახურებისათვის და ქალაქ თბილისში აფხაზეთის ასსრ ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადასთან დაკავშირებით, მიენიჭოთ საპატიო წოდება:

**საქართველოს სსრ სახალხო არტისტისა:**

1. აგრბას როზანბეი მიხეილის-ძეს — საქართველოს სსრ დამსახურებულ არტისტს, სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობს
2. არგუნ-კონოშოკს ანა ბიდოს ასულს — საქართველოს სსრ დამსახურებულ არტისტს, სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობს
3. ზუხბას მინადორა ივანეს ასულს — საქართველოს სსრ დამსახურებულ არტისტს, სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობს
4. ჩუბინიძეს მიხეილ დიმიტრის-ძეს — საქართველოს სსრ დამსახურებულ არტისტს, სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობს
5. ჰედიას ლეონ დიმიტრის-ძეს — საქართველოს სსრ დამსახურებულ არტისტს, სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობს

ეროვნული ბიბლიოთეკა

**საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწისა:**

| | |
|---|---|
| 1. გაბესკირიას შალვა მიხეილის-ძეს | — აფხაზეთის ასსრ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს, სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის დირექტორს |
| 2. გუმბას რაჟდენ ჯღუტანის-ძეს | — საქართველოს სსრ დამსახურებულ არტისტს, აფხაზეთის ასსრ სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის მხატვრულ ხელმძღვანელს |
| 3. ვერულეიშვილს ალექსანდრე ალექსანდრეს-ძეს | — სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის მხატვარს |
| 4. ლაკერბაის ივანე ალექსანდრეს-ძეს | — აფხაზეთის ასსრ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს, აფხაზეთის სახელმწიფო ფილარმონიის მხატვრულ ხელმძღვანელს |
| 5. მარღანიას ასთამურ ნიკოლოზის-ძეს | — აფხაზეთის ასსრ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს, აფხაზეთის სახელმწიფო ფილარმონიის დირექტორს |
| 6. ციმაკურიძეს იოსებ ლევანის-ძეს | — აფხაზეთის ასსრ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს, აფხაზეთის ასსრ სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის ქორეოგრაფს. |

7610

**საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტისა:**

| | |
|---|---|
| 1. ანშბას ზოია კონსტანტინეს ასულს | — აფხაზეთის ასსრ სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის მსახიობს |
| 2. აძინბას ვერა ზაქარიას ასულს | — აფხაზეთის ასსრ სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის მსახიობს |
| 3. აჩბას ვლადიმერ კონსტანტინეს-ძეს | — აფხაზეთის ასსრ სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის მსახიობსა და ქორეოგრაფს |
| 4. ბიბილეიშვილს აკაკი იაკობის-ძეს | — აფხაზეთის ასსრ დამსახურებულ არტისტს, აფხაზეთის ასსრ სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის მსახიობს |
| 5. ბოლქვაძეს თინათინ ალექსის ასულს | — სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობს |
| 6. გუბლიას ალექსი დიმიტრის-ძეს | — აფხაზეთის ასსრ სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის მსახიობს |
| 7. დარახველიძეს ოთარ სიმონის-ძეს | — აფხაზეთის სახელმწიფო ფილარმონიის საესტრადო ანსამბლის მხატვრულ ხელმძღვანელს |
| 8. ვარდანიას შამილ ალექსის-ძეს | — აფხაზეთის ასსრ დამსახურებულ არტისტს, აფხაზეთის სახელმწიფო ფილარმონიის მსახიობს |

ეროვნული ბიბლიოთეკა

9. ზარდანიას სიმონ იოსების-ძეს — აფხაზეთის ასსრ სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის მსახიობს

10. კალანდაძეს იოსებ კაპიტონის-ძეს — აფხაზეთის ასსრ დამსახურებულ არტისტს, სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობს

11. კობახიას სამსონ გუჯირის-ძეს — აფხაზეთის ასსრ დამსახურებულ არტისტს, სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობს

12. კოვეს აკაკი შირინის-ძეს — აფხაზეთის ასსრ სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის მსახიობს

13. მაგრაქველიძეს ასკალონ სამსონის-ძეს — აფხაზეთის ასსრ სახალხო არტისტს, სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობს.

14. ნეფარიძეს ვენერა ვლადიმერის ასულს — აფხაზეთის ასსრ დამსახურებულ არტისტს, სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობს

15. ნინიძეს ვიქტორ ვიქტორის-ძეს — აფხაზეთის ასსრ დამსახურებულ არტისტს, სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობს

16. პაჩალიას მარიცა სედიკის ასულს — აფხაზეთის ასსრ დამსახურებულ არტისტს, სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობს

17. სანაძეს ანა ალექსანდრეს ასულს — აფხაზეთის ასსრ სახალხო არტისტს, სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობს

18. სიჭინავას ვლადიმერ დიმიტრის-ძეს — აფხაზეთის ასსრ სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის მსახიობს

19. ფოჩხუას გრიგოლ ილიას-ძეს — აფხაზეთის ასსრ დამსახურებულ არტისტს, სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობს

20. შაკაიას გიორგი ვლადიმერის-ძეს — აფხაზეთის ასსრ სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის მსახიობს

21. ჩიხლაძეს ლიუდმილა ალექსანდრეს ასულს — აფხაზეთის ასსრ სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის მსახიობსა და ქორეოგრაფს

22. ცარგუშს ვლადიმერ არზამეტის-ძეს — აფხაზეთის ასსრ სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის მსახიობს

23. ჭოჭუას იასონ ტუკის-ძეს — აფხაზეთის ასსრ დამსახურებულ არტისტს, სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობს

ეროვნული ბიბლიოთეკა

24. ხორავას ტარასი ტარასის-ძეს — აფხაზეთის ასსრ დამსახურებულ არტისტს, სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობს

25. ჯიკირბას მინირი ხაჯარათის ასულს — აფხაზეთის ასსრ სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის მსახიობს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე—**მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი—**ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1958 წ. 9 იანვარი.

**16. ბრძანებულება აფხაზეთის ასსრ ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკების დაჯილდოების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით**

აფხაზური და ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის განვითარების საქმეში მიღწეული წარმატებებისათვის და ქალაქ თბილისში აფხაზეთის ასსრ ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადასთან დაკავშირებით დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:

1. ადამია კოსტანდელ ბაზალის-ძე — აფხაზეთის ხალხური შემოქმედების სახლთან არსებული მოხუცთა გუნდის მონაწილე

2. აგუმავა შაკატ სულახის--ძე. — აფხაზეთის ხალხური შემოქმედების სახლთან არსებული მოხუცთა გუნდის მონაწილე

3. ავიძბა შაბან სუსრანის-ძე — აფხაზეთის ხალხური შემოქმედების სახლთან არსებული მოხუცთა გუნდის მონაწილე

4. აიბა გრიგოლ ზაფასის-ძე — აფხაზეთის ხალხური შემოქმედების სახლთან არსებული მოხუცთა გუნდის მონაწილე

5. აკობია შოთა სოფრომის-ძე — პოეტი

6. აშუბა ხაჯარათ შმატის-ძე — აფხაზეთის ხალხური შემოქმედების სახლთან არსებული მოხუცთა გუნდის მონაწილე

7. აშუბა პიჩა შმატის-ძე — აფხაზეთის ხალხური შემოქმედების სახლთან არსებული მოხუცთა გუნდის მონაწილე

8. აშუბა მიჩა კერანტუხის-ძე — აფხაზეთის ხალხური შემოქმედების სახლთან არსებული მოხუცთა გუნდის მონაწილე

ეროვნული ბიბლიოთეკა

9. ბოკუჩავა აკაკი იოსების-ძე — აფხაზეთის ასსრ დამსახურებული არტისტი, სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობი

10. ბუბნოვა მარიამ დიმიტრის ასული — სოხუმის მუსიკალური სასწავლებლის მასწავლებელი

11. გამისონია ხუტა დარისმანის-ძე — გალის რაიონის კულტურის სახლის ქორეოგრაფიული წრის ხელმძღვანელი

12. გვახარია დავით გიორგის-ძე — გაგრის რაიონის კულტურის სახლის ბავშვთა ქორეოგრაფიული წრის ხელმძღვანელი

13. გერხელია კემსის მუსტაფას-ძე — აფხაზეთის ხალხური შემოქმედების სახლთან არსებული მოხუცთა გუნდის მონაწილე

14. გორელოვა ეკატერინე პავლეს ასული — სოხუმის მუსიკალური სკოლის მასწავლებელი

15. გორგაძე შალვა ანფიმის-ძე — სოხუმის მუსიკალური სასწავლებლის დირექტორი

16. გუმბა დუგა ხუაის-ძე — აფხაზეთის ხალხური შემოქმედების სახლთან არსებული მოხუცთა გუნდის მონაწილე

17. გუნია სომა ნიკოლოზის-ძე — აფხაზეთის ხალხური შემოქმედების სახლთან არსებული მოხუცთა გუნდის მონაწილე

18. დავიდოვა ანა აბრამის ასული — სოხუმის მუსიკალური სკოლის მასწავლებელი

19. დარსანია იასონ მაქსიმეს-ძე — აფხაზეთის ასსრ კულტურის მინისტრის მოადგილე

20. ევროპინა ვერა თევდორეს ასული — სოხუმის სამხატვრო სკოლის მასწავლებელი

21. ელბაქიძე თინათინ კონსტანტინეს ასული — სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობი

22. ემუხვარი ვალენტინა ვასილის ასული — სოხუმის მუსიკალური სასწავლებლის მასწავლებელი

23. ვანაჩა თემური კუბანის-ძე — აფხაზეთის ხალხური შემოქმედების სახლთან არსებული მოხუცთა გუნდის მონაწილე

24. ვეპრეისკაია მარიამ პეტრეს ასული — სოხუმის მუსიკალური სასწავლებლის მასწავლებელი

25. ზიზდო ანტონინა ვასილის ასული — სოხუმის მუსიკალური სკოლის მასწავლებელი

26. თარბა გიორგი ალექსანდრეს-ძე — აფხაზეთის ასსრ სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის მსახიობი

27. თორდია ვალერიან ტრიფონის-ძე — გაგრის რაიაღმასკომის კულტურის განყოფილების გამგე

ეროვნული ბიბლიოთეკა

28. თურქია ევგენია მაქსიმეს ასული — სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობი

29. კვიცინია თახირ მუსტაფას-ძე — აფხაზეთის ხალხური შემოქმედების სახლთან არსებული მოხუცთა გუნდის მონაწილე

30. კოგონია ეთერი კონსტანტინეს ასული — თბილისის თეატრალური ინსტიტუტის IV კურსის სტუდენტი

31. კოჟუხოვი ანატოლ ვასილის-ძე — სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობი

32. კუკულაძე ჰოლა ვლადიმერის-ძე — საქართველოს საბჭოთა მხატვართა კავშირის აფხაზეთის განყოფილების თავმჯდომარე, მხატვარი

33. კუპალბა ჯღუანატ ალგერიეს-ძე — აფხაზეთის ხალხური შემოქმედების სახლთან არსებული მოხუცთა გუნდის მონაწილე

34. ლაბახუა ზოსიმე გიორგის-ძე — აფხაზეთის ხალხური შემოქმედების სახლთან არსებული მოხუცთა გუნდის მონაწილე

35. ლოლუა თამარ იოსების ასული — სოხუმის მუსიკალური სკოლის მასწავლებელი

36. ლომიძე გიორგი მალაქიას-ძე — აფხაზეთის ასსრ სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის მსახიობი

37. მარტიროსიანი გაიკ ხაჩატურის-ძე — სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის დეკორაციული საამქროს გამგე

38. მარხოლია შადატ კემშიშის-ძე — აფხაზეთის ხალხური შემოქმედების სახლთან არსებული მოხუცთა გუნდის მონაწილე

39. მიქაშავიძე ნიკოლოზ ვარლამის-ძე — აფხაზეთის ასსრ სახალხო არტისტი, სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობი

40. ნაჭყებია ბესარიონ ნიკოლოზის-ძე — სოხუმის მუსიკალური სასწავლებლის მასწავლებელი

41. ოთირბა ასლან ტამშუღის-ძე — საქართველოს კომუნისტური პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის აგიტაციისა და პროპაგანდის განყოფილების გამგე

42. ოქროპირიძე თამარ ლავრენტის ასული — აფხაზეთის ასსრ სახალხო არტისტი, სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობი

43. პოპოვა ევდოკია თევდორეს ასული — სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის სამკერვალო საამქროს გამგე

44. სანდულია ვლადიმერ ქუტეს-ძე — აფხაზეთის ასსრ სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის მსახიობი

ეროვნული ბიბლიოთეკა

45. საკანია მადან ბათოს-ძე — აფხაზეთის ხალხური შემოქმედების სახლთან არსებული მოხუცთა გუნდის მონაწილე

46. სახეიშვილი ვლადიმერ ლეონტის-ძე — აფხაზეთის ასსრ კულტურის სამინისტროს ხელოვნების დაწესებულებათა ინსპექტორი

47. სიროეჟინი ნიკოლოზ მიხეილის-ძე — სოხუმის მუსიკალური სასწავლებლის მასწავლებელი

48. ფირუზბა მალაქია კოკალის-ძე — აფხაზეთის ხალხური შემოქმედების სახლთან არსებული მოხუცთა გუნდის მონაწილე

49. ფაჩულია ჯარმა კემიშის-ძე — აფხაზეთის ხალხური შემოქმედების სახლთან არსებული მოხუცთა გუნდის მონაწილე

50. ფილია ანტონ ხასანის-ძე — აფხაზეთის ხალხური შემოქმედების სახლთან არსებული მოხუცთა გუნდის მონაწილე

51. შამბა ლევან ესნატის-ძე — აფხაზეთის ასსრ სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის მსახიობი

52. შედანია ფეოდოსია ბესარიონის ასული — აფხაზეთის ასსრ დამსახურებული არტისტი, სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობი

53. შლარბა ასტან ლუდის-ძე — აფხაზეთის ხალხური შემოქმედების სახლთან არსებული მოხუცთა გუნდის მონაწილე

54. ჩიქოვანი ნიკოლოზ კონსტანტინეს-ძე — სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობი

55. ჩიჩბა ალექსი ჩანთოს-ძე — აფხაზეთის ასსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, გუდაუთის რაიონის კულტურის სახლის დირექტორი

56. ჩხიკვაძე ეთერი იროდიონის ასული — აფხაზეთის ასსრ სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის მსახიობი

57. ცვიჟბა შალვა ლევარსანის-ძე — მწერალი

58. ციფურია ბორის მიხეილის-ძე — სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობი

59. წოწონავა სერგი აპოლონის-ძე — აფხაზეთის ასსრ სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის მსახიობი

60. ჭითანავა შმატა ნშანის-ძე — აფხაზეთის ხალხური შემოქმედების სახლთან არსებული მოხუცთა გუნდის მონაწილე

61. ხალვაში ვიქტორ ხოტხოტის-ძე — აფხაზეთის ასსრ სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის მსახიობი

62. ხოჭოლავა ოლღა ნიკოლოზის ასული — სოხუმის მუსიკალური სკოლის მასწავლებელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

63. ჯენია ნაზბეი დავითის-ძე — სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობი
64. ჯენია სინათ მუსოს-ძე — აფხაზეთის ხალხური შემოქმედების სახლთან არსებული მოხუცთა გუნდის მონაწილე
65. ჯოპუა ხუტა ფრანკლინის-ძე — სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობი
66. ჯოპუა თარაშ მანუხოს-ძე — აფხაზეთის ხალხური შემოქმედების სახლთან არსებული მოხუცთა გუნდის მონაწილე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე — **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი — **ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1958 წ. 9 იანვარი.

**17. ბრძანებულება საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 134 მუხლში ცვლილებათა შეტანის შესახებ**

საქართველოს სსრ ქალაქებსა და სოფელ ადგილებში საყოველთაო შვიდწლიანი განათლების განხორციელების გამო, აგრეთვე საშუალო სკოლების უფროს კლასებში, საშუალო სპეციალურ და უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის ქირის გაუქმების გამო შეტანილ იქნას შესაბამისი ცვლილებები საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 134 მუხლში და ეს მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„**მუხლი 134.** საქართველოს სსრ-ის მოქალაქეებს აქვთ განათლების უფლება.

ეს უფლება უზრუნველყოფილია საყოველთაო-სავალდებულო შვიდწლიანი განათლებით, საშუალო განათლების ფართო განვითარებით, ყველა სახეობის როგორც საშუალო, ისე აგრეთვე უმაღლესი უფასო განათლებით, უმაღლესი სკოლის წარჩინებულ მოსწავლეთათვის სახელმწიფო სტიპენდიების სისტემით, სკოლებში დედაენაზე სწავლებით, ქარხნებში, საბჭოთა მეურნეობებში, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებსა და კოლმეურნეობებში მშრომელთა უფასო საწარმოო, ტექნიკური და აგრონომიული სწავლების ორგანიზაციით".

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე — **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი — **ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1958 წ. 9 იანვარი.

**18. ბრძანებულება ვ. დ. გუდიაშვილისათვის საქართველოს სსრ სახალხო მხატვრის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ**

დაბადებიდან 60 წლისთავთან და შემოქმედებითი მოღვაწეობის 40 წლისთავთან დაკავშირებით, ქართული საბჭოთა სახვითი ხელოვნების განვითარებაში თვალსაჩინო დამსახურებისათვის, მიენიჭოს ვლადიმერ დავითის-ძე გუდიაშვილს საქართველოს სსრ სახალხო მხატვრის საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე—**მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი—**ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1958 წ. 20 იანვარი.

**19. ბრძანებულება ამხ. ო. დ. გოცირიძის დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ**

დაინიშნოს ამხ. ოთარ დავითის-ძე გოცირიძე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე—**მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი—**ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1958 წ. 21 იანვარი.

**20. ამხ. თ. მ. ქეცბას განთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის მოვალეობისაგან**

1. განთავისუფლდეს ამხ. თემურ მახმედის-ძე ქეცბა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

2. ეს დადგენილება წარედგინოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მორიგ სესიას დასამტკიცებლად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე —**მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი—**ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1958 წ. 28 იანვარი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## 21. საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების მუშაობის შესახებ 1957 წელში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების 1957 წლის სტატისტიკური ანგარიშების ანალიზის შედეგების მიხედვით, საანგარიშო პერიოდში მნიშვნელოვნად ამაღლდა ადგილობრივი საბჭოების როლი, საბჭოები უფრო აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ სამეურნეო და კულტურულ მშენებლობის საქმეში, განმტკიცდა საბჭოების კავშირი მასებთან, საგრძნობლად გაუმჯობესდა საბჭოების ორგმასობრივი მუშაობა.

არჩევნებიდან 9 თვის განმავლობაში რესპუბლიკის ადგილობრივი საბჭოების დეპუტატების 57 პროცენტმა ჩააბარა ანგარიში ამომრჩევლებს, გაუმჯობესდა აღმასკომების მიერ საბჭოების სესიებისათვის ანგარიშების ჩაბარების ხარისხი და გაიზარდა სესიებზე ანგარიშის ჩამბარებელ აღმასკომთა რიცხვი, გააუმჯობესეს მუშაობა საბჭოების მუდმივმა კომისიებმა, ისინი აქტიურ მონაწილეობას იღებენ სესიებისა და აღმასკომების სხდომებისათვის საკითხების მომზადებაში, მათი უმრავლესობა პერიოდულად აბარებს ანგარიშს საბჭოებს, ადგილობრივი საბჭოების დეპუტატები უფრო აქტიურად მუშაობენ, მეტ ყურადღებას უთმობენ ამომრჩეველთა წინადადებების შესრულებას და პერიოდულად აბარებენ ანგარიშებს ამომრჩევლებს.

ამომრჩეველთა წინაშე დეპუტატების ანგარიშების ჩაბარებას სათანადო ყურადღებას უთმობენ ახალციხის, სამტრედიის, ასპინძის, კაჭრეთის რაისაბჭოების აღმასკომები, სადაც საბჭოების დეპუტატების 95-98 პროცენტს ჩაბარებული აქვს ანგარიშები ამომრჩევლებისათვის. ანგარიშების ჩაბარების დროს ბევრი სასარგებლო წინადადება იყო შემოტანილი, რომელიც დეპუტატთა დახმარებით განხორციელებულია. ასპინძის რაიონის საბჭოს დეპუტატების გ. ხარატიშვილის და ნ. გავაშელის ინიციატივით სოფელ დამალის მოსახლეობისათვის გაყვანილ იქნა სასმელი წყალი. კასპის რაიონული საბჭოს დეპუტატების დ. ხუციშვილის, ა. არაქელოვის და კალმიკოვას ინიციატივით დაბა კასპის რუსულ საშუალო სკოლას მიაშენდა 6 საკლასო ოთახი, სოფ. მიქელწყაროში აშენდა დაწყებითი სკოლის შენობა. ყვარლის რაისაბჭოს დეპუტატების ინიციატივით ჩატარდა კულტურის სახლის კაპიტალური შეკეთება და მთავრდება წყალსადენის გაყვანა სოფელ ყვარელში.

ამომრჩეველთა თხოვნით და დეპუტატ შ. ქართველიშვილის ინიციატივით ქ. სამტრედიაში (რკინიგზის უბანში) გაიხსნა აფთიაქი, შეკეთდა ელექტრო და რადიო გაყვანილობა, მოასფალტდა ვაჟა ფშაველას ქუჩა.

მცხეთის რაიონის საგურამოს სასოფლო საბჭოს სოფლის მეურნეობის მუდმივი კომისიის ინიციატივით (თავმჯდომარე ამხ. ქოქოსაძე) მოეწყო მუშამოსამსახურეთა მასობრივი გაყვანა საკოლმეურნეო სამუშაოებზე.

ოქტომბრის რევოლუციის 40 წლისთავის აღსანიშნავად ახალციხის რაიონის წყალთბილის სასოფლო საბჭოს ინიციატივით გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება სასოფლო საბჭოებს შორის, ორგმასობრივი მუშაობის მაღალ დონეზე დაყენების და სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების წარმატებით შესრულებისათვის, რის შედეგადაც მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს და შე-

ჯიბრში გამარჯვებულ ელიაწმინდის სასოფლო საბჭოს გადაეცა რაიონული გარდამავალი დროშა.

ამასთან ერთად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების მუშაობაში ჯერ კიდევ ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს. იმის გამო, რომ მშრომელთა დეპუტატების ზოგიერთი საბჭოს აღმასკომმა სათანადო დასკვნები არ გააკეთა პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებიდან და ზემდგომი ორგანოების მიერ მიღებული დადგენილებებიდან საბჭოების მუშაობისა და მასებთან მათი კავშირის გაძლიერების შესახებ, მათ ვერ უზრუნველყვეს დეპუტატების ჩაბმა საბჭოების მუშაობაში, ამომრჩევლებთან პერიოდულად ანგარიშების ჩაბარება, მუდმივი კომისიების მუშაობის გაუმჯობესება, აღმასკომების მიერ საბჭოებისათვის ანგარიშების ჩაბარება და საბჭოების მუშაობაში ფართო აქტივის ჩაბმა.

საანგარიშო პერიოდში აღმასკომების მხოლოდ 78,6 პროცენტმა ჩააბარა ანგარიში საბჭოებს.

არანორმალურად უნდა ჩაითვალოს ის ფაქტიც, რომ საანგარიშო პერიოდში სამხრეთ ოსეთის საოლქო, რუსთავის საქალაქო, ტყიბულის, წალკის, ბოლნისის, ორჯონიკიძის და მაიაკოვსკის რაიონული საბჭოების არც ერთ დეპუტატს თავიანთი ამომრჩევლებისათვის არჩევნების შემდეგ ანგარიშები არ ჩაუბარებია;

მთელ რიგ შემთხვევებში დეპუტატები არ გამოდიან თავიანთ ამომრჩევლების წინაშე მოხსენებებით სსრ კავშირის, საქართველოს სსრ და ადგილობრივი საბჭოების სესიების გადაწყვეტილებების გასაცნობად და სხვა მნიშვნელოვან პოლიტიკურ და სამეურნეო საკითხებზე.

ადგილობრივი საბჭოების 14 პროცენტს დარღვეული აქვს სესიების მოწვევის კონსტიტუციით დადგენილი ვადები.

სესიების მოწვევის კონსტიტუციით დადგენილი ვადა დაარღვია მარნეულის რაისაბჭომ, ნაცვლად 6 სესიისა, მოიწვია მხოლოდ 2 სესია, ახმეტის და წალკის რაისაბჭოებმა 4-4 სესია, ზუგდიდის საქალაქო საბჭომ — 3 სესია; ლაგოდეხის რაიონის 14 სასოფლო საბჭოდან სესიების მოწვევის ვადები დაარღვია 9 სასოფლო საბჭომ, მესტიის რაიონის 14 სასოფლო საბჭოდან — 5 სასოფლო საბჭომ, მარნეულის რაიონის 12 სასოფლო საბჭოდან — 4 სასოფლო საბჭომ; თიანეთის რაიონის არტნის სასოფლო საბჭომ დღიდან არჩევისა ჩაატარა აღმასკომის მხოლოდ 2 სხდომა, ხევსურთსოფლის სასოფლო საბჭოს აღმასკომმა კი — 3 სხდომა.

მთელ რიგ საბჭოებში ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა ამომრჩეველთა განაწესების შესწავლას და შესრულებას. სათანადოთ არ იყენებენ ადგილობრივ შესაძლებლობას და ვერ უკეთებენ ორგანიზაციას ადგილობრივ ძალებს ამომრჩეველთა წინადადებების შესრულებისათვის. ადგილობრივი საბჭოების მთელი რიგი მუდმივი კომისიები სუსტად მუშაობენ. აქტიურად არ მონაწილეობენ საბჭოებისა და მათი აღმასკომების პრაქტიკულ საქმიანობაში, სათანადოთ არ ეხმარებიან აღმასკომებს სახალხო მეურნეობის გეგმების შესრულებისა და მშრომელთა მატერიალურ-კულტურული დონის ამაღლების საქმეში.

ზოგიერთი საბჭოს მუდმივი კომისია იშვიათად ამზადებს და შეაქვს სესიების და აღმასკომების სხდომებზე განსახილველად სამეურნეო და კულტუ-

რული მშენებლობის აქტუალური საკითხები. საგარეჯოს რაიონული საბჭოს, ახალქალაქის საქალაქო, ჯავის რაიონის კვაისის და წითელწყაროს სადაბო საბჭოების მუდმივ კომისიებს სესიებზე და აღმასკომების სხდომებზე განსახილველად არც ერთი საკითხი არ შეუტანიათ.

ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები არ იცავენ დებულების მოთხოვნას გასული დეპუტატების ნაცვლად ახალი დეპუტატების არჩევნების შესახებ, რის შედეგადაც საანგარიშო პერიოდში გასულ დეპუტატების ნაცვლად არჩევნები არ ჩატარებულა. ადგილი აქვს საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეებად და მდივნებად არადეპუტატების არჩევას.

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების ორგმასობრივ მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის მიზნით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოს საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს:

ა) უზრუნველყონ საბჭოების აღმასკომების მუშაობის სწორი ორგანიზაცია და მიაღწიონ იმას, რომ უშუალო და ყოველდღიური ხელმძღვანელობით ხორციელდებოდეს პარტიისა და მთავრობის ღონისძიებანი კულტურულ-პოლიტიკური და სამეურნეო მშენებლობის და მშრომელი მოსახლეობის მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების საქმეში;

ბ) მტკიცედ დაიცვან საბჭოების მუშაობაში ხელმძღვანელობის კოლექტიურობის პრინციპი, სესიებისა და აღმასკომების სხდომებისათვის საკითხების მომზადება-განხილვაში ფართოდ ჩააბან საბჭოების დეპუტატები და აქტივი;

გ) უზრუნველყონ საბჭოების სესიების მოწვევის კონსტიტუციით დადგენილი ვადების დაცვა და აღმასკომებმა პერიოდულად ჩააბარონ თავიანთი მუშაობის ანგარიშები საბჭოებს.

დ) მიაღწიონ იმას, რომ საბჭოების ყველა დეპუტატი სისტემატურად ხვდებოდეს თავის ამომრჩევლებს, აბარებდეს ანგარიშებს და აცნობდეს მათ ზემდგომი პარტიული და საბჭოთა ორგანოების გადაწყვეტილებებს, გულისხმიერად მოეკიდონ ამომრჩეველთა მიერ წამოყენებული წინადადებების შესწავლას და აქტიური მონაწილეობა მიიღონ მათ შესრულებაში;

ვ) მიიღონ ზომები მუდმივი კომისიების მუშაობის გასაუმჯობესებლად და მიაღწიონ იმას, რომ ისინი აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ საბჭოების სესიებისა და აღმასკომების სხდომებისათვის საკითხების მომზადება-განხილვაში;

ზ) არ დაუშვან საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეებად და მდივნებად არადეპუტატების არჩევა;

თ) მტკიცედ დაიცვან არჩევნების დებულების მოთხოვნა, გასული დეპუტატების ნაცვლად ახალი დეპუტატების არჩევნებისა.

2. აღინიშნოს, რომ მთელი რიგი რაისაბჭოებს აღმასკომები ჯერ კიდევ არ გამოხმაურებიან მახარაძის რაიონის საბჭოს ინიციატივას კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის შესახებ. დაევალოთ რაისაბჭოების აღმასკომებს გამოეხმაურონ მახარაძელთა თაოსნობას და ადგილობრივი შესაძლებლობის

გათვალისწინებით დასახონ რაიონის კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის გეგმა.

3. ერჩიოთ აფხაზეთისა და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებს განიხილონ საკითხი ადგილობრივი საბჭოების მუშაობის შესახებ და დასახონ საჭირო ღონისძიებანი საბჭოების ორგმასობრივი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე — **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი — **ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1958 წ. 5 თებერვალი.

**22. ბრძანებულება საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომების ჯანმრთელობის დაცვის განყოფილებების გაუქმების შესახებ**

რესპუბლიკაში სოფლის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

1. გაუქმდეს მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების ჯანმრთელობის დაცვის განყოფილებები რესპუბლიკის იმ რაიონებში, სადაც არსებობენ რაიონული საავადმყოფოები, ამასთან ამ განყოფილებათა ფუნქციები დაეკისროს რაიონულ საავადმყოფოებს.

2. შეტანილ იქნას საქართველოს სსრ მორიგი სესიის განსახილველად წინადადება საქართველოს სსრ კონსტიტუციის 102 მუხლში სათანადო ცვლილების შეტანის შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე — **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი — **ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1958 წ. 10 თებერვალი.

**23. ბრძანებულება კ. ი. სიხარულიძის დაჯილდოების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით**

დაბადებიდან სამოცი წლისთავთან დაკავშირებით და გარეუბნის რაიონის მშრომელთა დეპუტატების კოჯრის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდო-

მარედ ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის დაჯილდოვდეს კვიროსი იასონის-ძე სიხარულიძე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე— **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი— **ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1958 წ. 15 თებერვალი.

**24. ბრძანებულება რესპუბლიკის სკოლების მასწავლებლებისათვის საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ**

სახალხო განათლების დარგში დიდი დამსახურებისათვის მიენიჭოთ საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდება:

| | |
|---|---|
| 1. ალანს გიორგი აჯუს-ძეს | — ოჩამჩირის რაიონის აგუბედიის საშუალო სკოლის მასწავლებელს |
| 2. ბარციცს დომნა კონსტანტინეს ასულს | — გუდაუთის № 2 საშუალო სკოლის მასწავლებელს |
| 3. ბალანჩივაძეს ისაკ იაგორის-ძეს | — ქუთაისის ქალაქის განათლების განყოფილების გამგეს |
| 4. ბარამიძეს პორფილე გიორგის-ძეს | — ფოთის № 2 საშუალო სკოლის დირექტორს |
| 5. ბახტაძეს ილია გახუნის-ძეს | — ცხაკაიას რუსული საშუალო სკოლის დირექტორს |
| 6. ბებურიშვილს მიხეილ ნიკოლოზის-ძეს | — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სასკოლო ინსპექტორს |
| 7. ბეკოევს დიმიტრი ნესტორის-ძეს | — სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილების გამგეს |
| 8. ბერაძეს შალვა იონას-ძეს | — ქ. თბილისის გარეუბნის რაიონის განათლების განყოფილების გამგეს |
| 9. ბერიანიძეს ნიკოლოზ ანდრიას-ძეს | — გორის რაიონის სოფელ დიდი მეჯვრისხევის საშუალო სკოლის მასწავლებელს |
| 10. ბითაძეს ანა იოსების ასულს | — რკინიგზის № 7 საშუალო სკოლის მასწავლებელს, სადგური თბილისი |
| 11. გამგებელს დავით სიმონის-ძეს | — რკინიგზის მუშა-ახალგაზრდობის № 8 საშუალო სკოლის დირექტორს, სადგური თბილისი |
| 12. გელაშვილს მავრა თადეოზის ასულს | — თბილისის № 102 სკოლის დირექტორს |

ეროვნული ბიბლიოთეკა

13. გელდიაშვილს ნადეჟდა ვასილის ასულს — რკინიგზის № 11 საშუალო სკოლის მასწავლებელს, სადგური გორი

14. გრიგოლიას ეკატერინე ფოკას ასულს — გუდაუთის № 2 საშუალო სკოლის მასწავლებელს

15. დანელიას პლატონ გიორგის-ძეს — თბილისის № 64 საშუალო სკოლის მასწავლებელს

16. დგებუაძეს სოფიო ნიკოლოზის ასულს — საჩხერის № 2 საშუალო სკოლის მასწავლებელს

17. დონაძეს ალექსი ბარნაბის-ძეს — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სასკოლო ინსპექტორს

18. ედილაშვილს მარიამ რომანის ასულს — რკინიგზის № 1 სკოლის მასწავლებელს, სადგური თბილისი

19. ელიზბარაშვილს სარა გაბრიელის ასულს — თელავის რაიონის სოფელ წინანდლის საშუალო სკოლის მასწავლებელს

20. ებანოიძეს ამბერკი პანტელეიმონის-ძეს — ხაშურის № 2 საშუალო სკოლის მასწავლებელს

21. ვადაჭკორიას სერგი იოსების-ძეს — ქ. ბათუმის განათლების განყოფილების ინსპექტორს

22. ვარშანიძეს სემაეთ შუქრიანის ასულს — ბათუმის № 1 საშუალო სკოლის მასწავლებელს

23. ვეფხვაძეს პეტრე ერმილეს-ძეს — რკინიგზის № 9 სკოლის დირექტორს, სადგური ნავთლუღი

24. ზავივალოვას ალექსანდრა ივანეს ასულს — რკინიგზის № 6 საშუალო სკოლის მასწავლებელს, სადგური თბილისი

25. თათარიშვილს აპოლონ კალისტრატეს-ძეს — ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს სასწავლო დაწესებულებათა განყოფილების სასკოლო ინსპექტორს

26. თოფურიძეს სარდიონ ივანეს-ძეს — ბოლნისის რუსული საშუალო სკოლის მასწავლებელს

27. თოფურიას შუშანა ვიქტორის ასულს — რუსთავის № 6 საშუალო სკოლის მასწავლებელს

28. თუმასიანს ხორენ სტეფანეს-ძეს — ბოგდანოვკის საშუალო სკოლის დირექტორს

29. იანქოშვილს ელენე მათეს ასულს — საგარეჯოს რაიონის პატარძეულის საშუალო სკოლის მასწავლებელს

30. კაკაბაძეს გაბრიელ ლევანის-ძეს — ქუთაისის № 1 საშუალო სკოლის მასწავლებელს

31. კანდელაკს გიორგი სილოვანის-ძეს — სამტრედიის რაიონის განათლების განყოფილების გამგეს

32. კაჭარავას ივანე ლევანის-ძეს — აბაშის რაიონის განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორს

33. კვანტრიშვილს პავლე გიორგის-ძეს — ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანასთან არსებული საშუალო სკოლის მასწავლებელს

ეროვნული ბიბლიოთეკა

34. კვაჭაძე ირაკლი ილარიონის-ძე — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კადრების განყოფილების უფროსს
35. კვალიაშვილს მარგალიტა იოსების ასულს — რკინიგზის № 3 საშუალო სკოლის მასწავლებელს, სადგური თბილისი
36. კუჭავას ერემია ერმილეს-ძეს — ჩოხატაურის საშუალო სკოლის დირექტორს
37. კეცბაიას ტერენტი მოსეს-ძეს — აფხაზეთის ასსრ განათლების მინისტრის მოადგილეს
38. ლორთქიფანიძეს გიორგი გიორგის-ძეს — თბილისის № 42 საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეს
39. მამფორიას მიხეილ ზიკოს-ძეს — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ინსპექტორ-მეთოდისტს
40. მამედოვს ჯალილ მამედის-ძეს — გარდაბნის აზერბაიჯანული საშუალო სკოლის მასწავლებელს
41. მელაძეს ლუბა კლასიონის ასულს — თბილისის № 67 საშუალო სკოლის დირექტორს
42. მინჯიას ბაგრატ ვასილის-ძეს — ბორჯომის რაიონის განათლების განყოფილების გამგეს
43. მოწონელიძეს ბაბილინა გიორგის ასულს — თბილისის № 33 საშუალო სკოლის მასწავლებელს
44. მხითარიანს ნაზარეტ მგეროს-ძეს — ახალციხის № 3 საშუალო სკოლის დირექტორს
45. ნანავას ნინო ალექსის ასულს — ამიერკავკასიის რკინიგზის სასწავლო დაწესებულებათა განყოფილების პედაგოგიური კაბინეტის უფროსს
46. ნიკურაძეს ლიდა ილიას ასულს — რკინიგზის №9 საშუალო სკოლის მასწავლებელს, სადგური ნავთლუღი
47. ნოდიას კლიმენტი გიორგის-ძეს — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ინსპექტორ-მეთოდისტს
48. ნუცუბიძეს სერგი ნიკოლოზის-ძეს — რკინიგზის № 11 საშუალო სკოლის დირექტორს, სადგური გორი
49. ოზოლინას სოფიო იოსების ასულს — რკინიგზის № 6 საშუალო სკოლის მასწავლებელს, სადგური თბილისი
50. პატარაიას ბათლომე პავლეს-ძეს — რკინიგზის მუშა ახალგაზრდობის № 1 საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეს, სადგური თბილისი
51. ჟვანიას ნადეჟდა ლომინის ასულს — რკინიგზის № 24 საშუალო სკოლის მასწავლებელს, სადგური სამტრედია
52. რევიას ლეონტი ნესტორის-ძეს — რკინიგზის № 7 საშუალო სკოლის მასწავლებელს, სადგური თბილისი
53. სესიაშვილს ნინო მიხეილის ასულს — გორის № 3 საშუალო სკოლის მასწავლებელს
54. სიმონიას ანდრია ლუკას-ძეს — ქ. თბილისის ლენინის სახ. რაიონის განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორს

ეროვნული ბიბლიოთეკა

55. სტოდოლნიკს მეჩისლავ დომენტის-ძეს — ბათუმის № 15 საშუალო სკოლის მასწავლებელს
56. ტორჩინავას ზინაიდა ემელიანეს ასულს — რკინიგზის №5 საშუალო სკოლის მასწავლებელს, სადგური თბილისი
57. უკლებას კონსტანტინე ლუკას-ძეს — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სასკოლო ინსპექტორს
58. ქირიას ორესტ ბასოს-ძეს — ზუგდიდის რაიონის განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორს
59. ღოღობერიძეს ქეთევან ასლანის ასულს — რკინიგზის № 7 საშუალო სკოლის მასწავლებელს, სადგური თბილისი
60. შათირიშვილს ნინო იოსების ასულს — ყვარლის რაიონის სოფელ შილდის საშუალო სკოლის მასწავლებელს
61. შარანგიას ანდრია დიტოს-ძეს — გალის რაიონის სოფელ რეჩხინის 7 წლიანი სკოლის მასწავლებელს
62. შტაუბერგს ელვინე იოსების ასულს — რკინიგზის № 5 საშუალო სკოლის მასწავლებელს, სადგური თბილისი
63. შულაიას ვალერიან თადეოზის-ძეს — რკინიგზის № 28 საშუალო სკოლის მასწავლებელს, სადგური ფოთი
64. ჩაკვეტაძეს პარმენ ისიდორეს-ძე — ცაგერის რაიონის სოფელ ზუბის 7 წლიანი სკოლის მასწავლებელს
65. ჩახვაძეს გრიგოლ მელიტონის-ძეს — ხობის რაიონის განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორს
66. ცქვიტინიძეს ფოკა პავლეს-ძეს — ბათუმის რაიონის მახინჯაურის საშუალო სკოლის დირექტორს
67. ჭეიშვილს უმანკო კონსტანტინეს ასულს — მახარაძის საბავშვო სახლის დირექტორს
68. ჭყონიას თამარ ოტიას ასულს — რკინიგზის № 3 საშუალო სკოლის მასწავლებელს, სადგური თბილისი
69. ხარძეიშვილს მიხეილ ვასილის-ძეს — ვანის საშუალო სკოლის მასწავლებელს
70. ხატიაშვილს ნინო ივანეს ასულს — ახმეტის რაიონის სოფელ ქისტაურის საშუალო სკოლის მასწავლებელს
71. ხორგუანს ისიდორე პეტრეს-ძეს — მესტიის რაიონის სოფელ ბეჩოს საშუალო სკოლის მასწავლებელს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე — **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი — **ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1958 წ. 15 თებერვალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

### 25. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის წევრთა რიცხვის გადიდების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

გადიდდეს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის წევრთა რიცხვი ხუთიდან შვიდ კაცამდე და დამტკიცდნენ პრეზიდიუმის წევრებად ამხ. ამხ. დავით ისიდორეს-ძე ბაღათურია და ალექსანდრე არსენის-ძე ღუღუნიშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე — მ. ჩუბინიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი — ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი.
1958 წ. 22 თებერვალი.

### 26. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადების მიმდინარეობის შესახებ

მოისმინა რა პრეზიდიუმის მდივნის ამხ. ზ. ბ. გელდიაშვილის ინფორმაცია, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადება—საარჩევნო უბნების შექმნა, საარჩევნო კომისიების დამტკიცება, ამომრჩეველთა სიების შედგენა, დეპუტატობის კანდიდატების რეგისტრაცია, წინასაარჩევნო კრებების ჩატარება და სხვა მიმდინარეობს არჩევნების დებულების სრული შესაბამისობით. ორგანიზებულად ტარდება დეპუტატობის კანდიდატების შეხვედრა ამომრჩევლებთან. რესპუბლიკის საწარმოებში, კოლმეურნეობებში, მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებში ფართოდ არის გაშლილი არჩევნებისადმი მიძღვნილი სოციალისტური შეჯიბრება სახალხო მეურნეობის გეგმების ვადაზე ადრე და გადაჭარბებით შესრულებისათვის.

ამასთან ერთად პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ არჩევნებისათვის მზადების საქმეში ადგილი აქვს ნაკლოვანებებს. ქალაქ სტალინირის, ბორჯომის, სამტრედიის და მარნეულის რაიონების ზოგიერთი საარჩევნო უბანი შემოწმების დროისათვის არ იყო სათანადოთ გაფორმებული, არ გააჩნდათ საჭირო მოწყობილობა და საარჩევნო ლიტერატურა.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის 109 საარჩევნო უბნიდან 35 საარჩევნო უბანში არ იყო მოწყობილი სატელეფონო კავშირი და მოგვარებული არ იყო თუ რა სახის კავშირი იქნება დამყარებული ამ საარჩევნო უბნებთან.

ზოგიერთი საბჭოს აღმასკომი პასუხისმგებლობით არ მოეკიდა ამომრჩეველთა სიების შედგენის საქმეს და საყოველთაო გასაცნობად გამოკრული იქნა არაზუსტი სიები. ამომრჩეველთა სიებში არ იყო ჩაწერილი ახალგაზრდა ამომრჩევლების დაბადების თვე და რიცხვი, რომლებიც პირველად იღებენ არჩევნებში მონაწილეობას, გამოტოვებული იყო ამომრჩეველთა სახელი, მამის სახელი და დაბადების წელი; ბოლნისის რაიონის პარიზის კომუნის სახელობის საარჩევნო უბანში ამომრჩეველთა სიაში შეტანილი არ იყო 17 ახალ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზრდა ამომრჩეველი. მარნეულის და ბოლნისის რაიონების ზოგიერთ საარჩევნო უბანში ახალგაზრდა ამომრჩევლებზე შედგენილი იყო ცალკე სიები.

ზოგიერთ საუბნო საარჩევნო კომისიებს ჯერ კიდევ სათანადოთ არ გაუშლიათ მუშაობა, კომისიის წევრებს შორის არ არის განაწილებული ფუნქციები, არ სწარმოებს მორიგეობა და კომისიების თავმჯდომარეები და მდივნები არ იცნობენ არჩევნების დოკუმენტაციის გაფორმების საქმეს.

ბორჯომის, გურჯაანის, სტალინირის და ჯავის მთელ რიგ საარჩევნო უბნებში მოწოდების სიმაღლეზე არ არის დაყენებული სააგიტაციო მასობრივი მუშაობა. რეგულარულად არ იმართება აგიტატორთა საუბრები ამომრჩევლებთან, კულტმასობრივი ღონისძიებები, მოხსენებები, ლექციები, კონსულტაციები და კითხვა-პასუხის საღამოები; ფართოდ არ აცნობენ ამომრჩევლებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვას ყველა ამომრჩევლისადმი და ბევრგან კმაყოფილდებიან მხოლოდ არჩევნების დებულების გაცნობით. ზოგიერთი აგიტპუნქტი არ არის მოწყობილი სათანადოდ, არ არის დაწესებული აგიტატორთა მორიგეობა, არ აქვს შედგენილი სამუშაო გეგმა და მთელ რიგ შემთხვევებში აგიტატორებად გამოყოფილი არიან არასაკმაოდ მომზადებული პირები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

დაევალოს მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების მაღალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე ჩატარების მიზნით გააძლიერონ სამზადისი მუშაობა, რისთვისაც:

1. შეამოწმონ ამომრჩეველთა სიების სიზუსტე, დროზე გამოასწორონ დაშვებული შეცდომები, რომ ყველა საბჭოთა მოქალაქე, რომელთაც უფლება აქვთ არჩევნებში მონაწილეობის მიღებისა, აღრიცხული და შეტანილი იქნეს ამომრჩეველთა სიებში.

2. უზრუნველყონ ყველა საარჩევნო უბნის მოწყობა არჩევნების დებულების მოთხოვნათა სრული შესაბამისობით, რომ ამომრჩევლებს სრული შესაძლებლობა ქონდეთ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში განახორციელონ ფარული კენჭისყრის უფლება.

3. მიიღონ ზომები, რომ დროულად დაიბეჭდოს საარჩევნო ბიულეტენები სათანადო ენებზე საკმაო რაოდენობით, უზრუნველყონ მათი საუბნო-საარჩევნო კომისიებისათვის ჩაბარება დაწესებულ ვადაში და არჩევნებამდე მათი შენახვა; დროულად მოამარაგონ საუბნო-საარჩევნო კომისიები საარჩევნო დოკუმენტაციის ბლანკებით, საარჩევნო ყუთებით, ბეჭდებით, საკანცელარიო ნივთებით და საჭირო მოწყობილობით.

4. მიიღონ საჭირო ზომები, რომ ყველა საუბნო-საარჩევნო კომისია უზრუნველყოფილი იქნეს ტელეფონის, რადიოს ან სხვა სახის შეუწყვეტელი კავშირით;

5. უზრუნველყონ არჩევნების დღეს ამომრჩეველთა გამოცხადებისა და ხმის მიცემის შედეგების ცნობების დროული შეგროვება საარჩევნო უბნებიდან და სათანადო საოლქო საარჩევნო კომისიებში და ზემდგომ ორგანოებში მათი წარდგენა. !!

6. არჩევნებისათვის მზადებისა და ორგანიზაციის საქმეში განსაკუთრებული დახმარება გაუწიონ საუბნო-საარჩევნო კომისიებს, ჩაატარონ ამ კომისიების

თავმჯდომარეებისა და მდივნების საინსტრუქტაჟო თათბირები და განუმარტონ მათ საარჩევნო დოკუმენტების სწორად გაფორმების წესები.

7. ფართოდ გაშალონ ამომრჩეველთა შორის საგიტაციო მასობრივი მუშაობა, სათანადოდ მოაწყონ აგიტპუნქტები, დააწესონ აგიტატორთა მორიგეობა, რეგულარულად ჩაატარონ ამომრჩევლებთან საუბრები, მოხსენებები, ლექციები, კონსულტაციები, კითხვა-პასუხის საღამოები და კულტურულ-მასობრივი ღონისძიებანი, გასწიონ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატების სასარგებლო აგიტაცია და გააცნონ ამომრჩევლებს მათი შრომითი საქმიანობა.

8. კიდევ უფრო ფართოდ გაშალონ საწარმოებში, კოლმეურნეობებში, მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისადმი მიძღვნილი სოციალისტური შეჯიბრება და უზრუნველყონ სახალხო მეურნეობის გეგმების ვადაზე ადრე და გადაჭარბებით შესრულება. გააძლიერონ საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების მუშაობის ნაკლოვანებათა კრიტიკა და მიიღონ საჭირო ზომები ამომრჩეველთა წინადადებების განხორციელებისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე — მ. ჩუბინიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი — ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი.
1958 წ. 22 თებერვალი.